ტარტარენის სტუმრობა ლუარსაბთან

ერთ დღეს ტარტარენმა სანადიროდ გასვლა დააპირა საზღვარს გარეთ და მიადგა კახეთის ტერიტორიას. დაიკარგა, განაგრძო გზა, წვიმა დაიწყო ტარტარენი სულ დასველდა, გადაწყვიტა სადმე თავი შეეფარებინა. შევიდა ერთ დიდ სახლში, რომელიც მიტოვებული ეგონა. ეზოში ერთი ცალთვალა სასიმინდე და მარანი იდგა. შეაღო კარი, სითბომ რომ იგრძნო გაუკვირდა. შევიდა სახლში, სადაც ძალზედ სიბინძურე იყო. დაინახა ცოლ-ქმარი, რომელიც სადილს მიირთმევდა.

-გამარჯობა

-გაგიმარჯოს

ლუარსაბი გაკვირვებული შეაჩერდა ეს ვინ არისო და კითხა:

-შენ ვინ ბრძანდები?

-მე გმირი ტარტარენ ტარასკონელი ვარ, დავიკარგე გარეთ წვიმს,წინააღმდეგები თუ არ იქნებით აქ გავჩერდები ცოტახნით.

ლუარსაბმა უთხრა:

- ახლა ვაპირებდი ჭამას და შემოგვიერთდით.

ტარტარენმა ნაბიჯი გადადგა ნოხზე და ისეთი მტვრის კორიანტელი დააყენა თვალებიდან ძლივსღა იხედებოდა. კნეინას შერცხვა ადგა მოიპატიჟა, თვითონ კი ნოხის გაწმენდას შეუდგა. ტარტარენმა და ლუარსაბმა კარგად ჭამეს. ტარტარენი უკვე მიდიოდა ამოცვენილ აგურებში ფეხი მოიტეხა რამოდენიმე კვირა გაჩერდა სავადმყოფოში შემდეგ კი დაბრუნდა ტარასკონში.

ლუარსაბის სტუმრობა ტარასკონში

ლუარსაბს ერთ მშვენიერ დღეს მიუვიდა წერილი აცნობეს, რომ დღეს საღამოს 6 სთ-ზე ტარასკონიდან ტრანსპორტი მოვა და გაემზადეო. ლუარსაბს ცოტა გული შემოეყარა რადგან საღამურების გამოცვლა ეზარებოდა, მოაკითხა ტრანსპორტმა დაემშვიდობა კნეინას და გაუდგა გზას. საკმაოდ დამღლელი მოგზაურობის შემდეგ ჩავიდნენ ტარასკონში. ტარტარენი გახარებული დახვდა ლუარსაბს, მიესალმნენ ერთმანეთს. დაათვალიერეს ტარასკონი შემდეგ ტარტარენის სახლი, რამაც ლუარსაბი საგონებელში ჩააგდო, შევიდნენ სახლში, ლუარსაბმა დაინახა თუ როგორ ბრწყინავდა ყველაფერი ცოტაც და ლუარსაბს თვალის გუგები გადაეწვებოდა. დაათვალიერეს იარაღები ;გარეთ რაღაც დიდი ხმა გაისმა, ტარასკონის ხალხი შეკრებილიყო და ტარასკონის მერი გამოსულიყო. განაცხადება გააკეთა, რომ მოემზადეთ სანადიროდ გავდივართ, ერთი კურდღელია ტყეში, ვინც მას მომიყვანს დავაჯილდოვებთ და მეფის ტიტულსაც მიიღებსო.

ტარტარენმა შესთავაზა ლუარსაბს, სანადიროდ წასულიყვნენ ერთი შაშხანა მისცა და წავიდნენ. ისინი სხვადასხვა ადგილას გადანაწილდნენ. ლუარსაბმა იქვე მდგარ ხის ძირში საგზლად წამოღებული ბოსტნეულის ჭამა დააპირა და ჩაეძინა. ამ დროს კურდღელი მასთან მივიდა და ბოსტნეულს ჭამა დაუწყო. მძინარე ლუარსაბმა კურდღელს ხელი მოხვია და მაგრად ჩაეხუტა. ტარტარენი ლუარსაბთან მივიდა დაინახა თუ როგორ ყავდა ლუარსაბს ჩახუტებული კურდღელი .წავიდნენ მერთან მერმა ლუარსაბი დააჯილდოვა. ლუარსაბის სახლში დაბრუნების დრო მოვიდა, დაემშვიდობა ტარტარენს და დაბრუნდა თავის სამშობლოში.